გარემოს დაცვის სამსახურის მიერ მოწერილ წერილში გაპარულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა.

კერძოდ: გამომდინარე იქიდან, რომ მიწის ნაკვეთზე პროექტი შეთანხმდა 15/11/2017 და მშენებლობის ნებართვა კი გაიცა 24/11/2017, გარემოს დაცვის სამსახურის მიერ მოთხოვნილი გამწვანების პროექტი არ ეკუთვნის

წერილის ნომერი: **18-01212862035**
თარიღი: **13/10/2021**
პინი: **1356**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01212802844
წერილის თარიღი:	07 ოქტომბერი, 2021
განმცხადებელი:	ლაშა ჩიხრაძე
განაცხადის N	AR1843601
მისამართი	ქ. თბილისი, ქუჩა 1 ასპინძა, #13
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.16.04.054.002
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	შეთანხმებული პროექტის ცვლილება; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტი №3487330 თარიღი: 4 სექტემბერი, 2017
ფართობ(ებ)ი:	2858
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	თანასაკუთრება შპს „საგზაო ჩულურეთი“ შპს „ბი ემ ჯი დეველოპმენტი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა (სზ)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან და მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება.

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი, საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-5 მუხლი; კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“, ,,გ“ ქვეპუნქტები; კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი №255 დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ და ,,ნ“ ქვეპუნქტები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ 21-ე, 21^1-ე, 21^2-ე მუხლები; 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“, ,,გ“ ქვეპუნქტები; 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი; 26^1-ე მუხლი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მწვანე ნარგავებთნ დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს **საექსპერტო დასკვნა, ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით, ტოპო.გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მწვანე ნარგავებით და 3 მეტრიანი მანძილების აღნიშვნით, ინფორმაცია გადასარგავი/ მოსაჭრელი მწვანე ნარგავ(ებ)ის შესახებ.**

ასევე გაცნობებთ, რომ II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი.

აქვე გაცნობებთ, რომ გამწვანების საინფორმაციო დაფის ესკიზზე უნდა განთავსდეს გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია, რომელზეც უნდა მიეთითოს შემდეგი მონაცემები:

კ-3 კოეფიციენტის ფართობი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი);

გამწვანების პროექტის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი (მშენებლობის ნებართვის აღებამდე, გრაფის შევსება არ არის სავალდებულო; თარიღად უნდა განისაზღვროს მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი);

დასარგავი მცენარეების სახეობა (მათ შორის ხნოვანება, სიმაღლე, რაოდენობა);

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი (პროექტი უნდა დასრულდეს შენობის/ ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე);

გაშენებული მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირის დასახელება (თუ გასაშენებელი მცენარეების მოვლა-პატრონობას არ უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, განაცხადს უნდა დაერთოს, მცენარეების მოვლა-პატრონობის ვალდებულების შესრულების თაობაზე, პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა ან/და გაფორმებული ხელშეკრულება, გასაშენებელი (გაშენებული) მცენარეების არანაკლებ 3 წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულების შესრულების თაობაზე);

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა (არანაკლებ 3 წელი);

გამწვანების პროექტი, სხვა მონაცემებთან ერთად, აუცილებლად უნდა მოიცავდეს ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების ესკიზს. **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობის/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**. **აქედან გამომდინარე, ვინაიდან განმცხადებელი გეგმავს IV კლასის შენობის/ნაგებობის მშენებლობას და არ აქვს წარმოდგენილი გამწვანების პროექტი, შესაბამისად, მოცემული განცხადება არის ხარვეზიანი.**

დასარგავი მცენარის რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი).

გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარის სახეობები უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან. **(გარდა, კვიპაროსის, ელდარის, შავი ფიჭვის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

დაინტერესებულ პირს, კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში, შეუძლია გაითვალისწინოს ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი მწვანე ნარგავებიც (გარდა, ხილ-კენკროვანი, ხმობადი, ზეხმელი, ავარიული ხეებისა). მოცემულ შემთხვევაში, გამწვანების საინფორმაციო დაფის ესკიზზე უნდა მიეთითოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საღი ხეების სახეობისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაციაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური პოზიციას დააფიქსირებს მითითებული ხარვეზის გამოსწორების შემდეგ.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი